განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

სიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მერი ქვრივიშვილი
წევრ(ებ)ი:
სოფიო დუმბაძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**233727795**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლანჩხუთი
ფაქტობრივი მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიბათი
საფოსტო ინდექსი	**2818**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**chibati@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577602102

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0001616254; 14/11/2025 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 10 და 11 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 10 და 11 დეკემბერს სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა)“,,,გ)" და „დ)“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შეფასება განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტით. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა-ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი). დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლის მასწავლებლებს, მშობლებს და საგაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	129

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები პირველ და მეოთხე სტანდარტებში, არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც _ „სრულად შეესაბამება“, ხოლო მესამე სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორები -3.4.1.1 და 3.5.1.4 როგორც „არ შეესაბამება“. აღნიშნული ინდიკატორები არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შემდგომ ექსპერტების მხრიდან შეფასდა შემდეგნაირად_ № 3.4.1.1 როგორც „სრულად შესაბამისი“, ვინაიდან დაწესებულაბამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას აღმოხვრა აღნიშნული ხარვეზი (წარმოადგინა სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით სრულად აღჭურვის მტკიცებულებები), ხოლო № 3.5.1.4 „ნაწილობრივ შესაბამისი“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სრულად ადაპტირება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (29.12.2027.- მდე).*

1 გ ა რ დ ა მ ე ო რ ე ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ი ს ა .

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N... 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლას მიეცა რჩევა (დღეის მდგომარეობით) გადამოწმდეს გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინების საჭიროება და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გათვალისწინება.*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლას მიეცა რჩევა დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	*სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ტერიტორიაზე არსებული მოძველებული შენობა, რომლის ექსპულატაციის უსაფრთხოება გაურკვეველია, ძირითადი ტერიტორიისგან გამოყოს ღობით .*
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვას	*სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი კვალიფიციური კადრი.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N.... 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	*კვლევის ობიექტურობისა და რელევანტურობის გაზრდის მიზნით სასურველია სკოლამ გამოიყენოს კვლევის/კითხვარების ელექტორნულად შეგროვების მეთოდი, რაც გაამარტივებს საბოლოო მონაცემების იდეტიფიცირებას*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 1	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
3.4.1.1.	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2024 წლის 4 ივლისამდე წარმოადგინოს სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსი - დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) (საკადასტრო კოდი N27.09.46.039 ს/კ 233727795) შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.**	**შესრულდა**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიაში ცენტრალური აქცენტებია არაფორმალურ განათლებასა და "Stem" საგნებზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ისეთ ცოდნისა და უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია მათი წარმატებული ჩართულობისთვის კულტურულ, საზოგადოებრივ, ზნეობრივ და ტექნოლოგიურად სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სასკოლოს საზოგადოების წევრებთან ინტერვიუირების, სასკოლო გარემოს დათვალიერებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არაფორმალური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით სკოლა ქმნის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეს, რომელშიც დაცული და გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესი, საჭიროება, შესაძლებლობები და შექნილია გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების წევრებს მაქსიმალურად ჩაერთონ სასკოლო კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა

მხარს უჭერს არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლის დირექციის მხარდაჭერით მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს სასკოლო პროექტებისა და აქტივობების განხორციელებაზე. თვითმმართველობის თავმჯდომარის ინიციატივით ხშირად ეწყობა სამუშაო შეხვედრები, სადაც ისმენენ წევრთა მოსაზრებებს და საჭიროებებიდან გამომდინარე ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, თვითმმართველობის ხელმძღვანელი უზიარებს დირექციას წევრთა მოსაზრებებს და ერთობლივად გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად. დირექცია ამასთანავე თვითმმართველობას უზრუნველყოფს საჭირო რესურსებითა და სივრცით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N 1კ-06 და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები. ასევე კითხვარები, რომელიც ასახავდა სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევას და უკუკავშირს. მაშასადამე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიწოდების საშუალება. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილულია პედაგოგიური საბჭოს და თვითმმართველობის სხდომაზე. ყოველივე კი დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმებით, შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტის დროს სკოლამ ასევე

წარმოადგინა კვლევის საფუძველზე მოგროვებული ინფორმაცია რომელიც დაეხმარათ საჭიროებების იდენტიფიცირებაში. შეიქმნა სკოლის SWOT ანალიზი. საბოლოოდ, დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე იკვეთება სასკოლოს საზოგადოების ჩართულობა და გაზიარებულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. გარდა ამისა, ისინი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მარტივად შეეძლოს მათი გაცნობა. შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულ სკოლის ტიპს და სახელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, 2023 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სკოლას მიენიჭა ზაზა სულაბერიძის სახელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კვლევის მასალები; განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ა*
- *სახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტი ადგენს დაგეგმვის ძირითად ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი პროცესი და ითვალისწინებს

სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ეს პროცესი უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფის მუშაობით, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით და ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებისგან ინფორმაციის მოპოვებით. ამასთან განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლის 2023-2030 წლს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ და იწყება მოქმედი გეგმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე.ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. მასში წარმოდგენილია ოთხი სტრატეგიული მიზანი:

• სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
• ინოვაციურობა;
• უსაფრთხო ორგანიზებული და ჯანსაღი გარემოს შექმნა;
• მშობელთა ჩართულობა.

თითოეული მიზანი შეიცავს შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზი (მაგ: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზ/სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი და ა.შ.) და სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შეფასებისა და ანალიზის შედეგები. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას მხედველობაში მიიღება საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნები. სკოლა

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025-2026წელი). ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები და აქტივობები გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და შეიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ აქტივობებს. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა გასული სასწავლო წლის სამოგმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და მონიტორინგის შესაბამისი SWOT ანალიზი. ასევე ვიზიტისას კათედრების წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სემესტრის ბოლოს ისინი გააკეთებენ მიმდინარე პროცესების შეფასებას -(ნარატიული ანგარიშების წარგენით) საბოლოოდ კი წლის ბოლოს განიხილავენ მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას, გაანალიზებენ და შესაბამისად დაგეგმავენ მომდევნო წელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2025-2026 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმა გაწერილია 1 წლის ვადით და ეყრდნობა 4 სრატეგიულ მიზანს:

1.სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება;

2.ინოვაციურობა ;

3.უსაფრთხო ორგანიზებული და ჯანსაღი გარემოს შექმნა;

4. მშობელთა ჩართულობა.

თითოეული მიზნისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, განსახორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე საჭირო

ადამიანური და ფინანასური რესურსები.რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების რეალისტურობას, დაგეგმვის ხარისხს და პროცესის გამჭვირვალობას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• მისიის , ხედვის , ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
• შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
• ერთწლიანი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მეთოდოლოგია ("მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია") მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს), სტრატეგული გეგმის მონიტორინგი დაგეგმილია 3 წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მონიტორინგის შედეგად გროვდება ინფორმაცია გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მონაცემები მუშავდება, ფასდება, კეთდება ანალიზი და იგეგმება შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზას იყენებს:

I ალტერნატივა: სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილს და საქაღალდეს, სადაც გროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს დირექტორს, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრს და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებლობა გაზიარებული აქვს სკოლის გარეთ სხვა ორგანიზაციასაც/პირსაც, მაშინ ამ ორგანიზაციისგან/პირისგან ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხისმგებელია სკოლის სტრუქტურული ერთეული/პასუხისმგებელი პირი, ვინც ამ ორგანიზაციასთან ერთად მონიშნულია კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ასევე პასუხისმგებლები არიან წარმოადგინონ ანგარიში ნარატივის ფორმით და ატვირთონ ის გაზიარებულ დრაივზე სპეციალურ სივრცეში(საქაღალდეში), შეიტანონ გაზიარებულ ფაილში ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ. თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: «შესრულდა», «ნაწილობრივ შესრულდა» ან «არ შესრულდა“ და საბოლოოდ გაზაირებულ საქაღალდეში ატვირთონ აქტივობის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

II ალტერნატივა: სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სასწავლო წლის ბოლის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს.სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას.წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული

გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.
ვიზიტისას, სკოლამ წარმოადგინა გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის **SWOT** ანალიზი. ინტერვიუირების პროცესის და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები (მათ შორის, მასწავლებლები და ადმინისტრაცია) წერილობით ანგარიშს წარადგენენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან შესრულებული სამუშაოს შესახებ. ტარდება გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი ("შესრულდა", "ნაწილობრივ შესრულდა", "არ შესრულდა"). მონიტორინგისა და შეფასების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად **სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასებას სკოლა ახორციელებს წელიწადში ერთხელ** (სასწავლო წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. **სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში 3 წელისადში ერთხელ.**
სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) სკოლის ვებგვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; დ) პორტალი ვებგვერდზე; ე) სოციალური მედია; ვ)საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ზ) ბეჭდვითი მასალები - ე.წ.”ხილვადი მასალა” (visibility material).დოკუმენტს ახლავს ინფორმაციის გაზიარების სქემა. აღნიშნული სქემის მიხედვით წლიური სამოქმედო გეგმის და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოება/სამეურვეო საბჭო/თემთან სკოლის ვებგვერდით, ელექტრონული ფოსტა ან/და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა ან/და სოციალური მედეა ან/და საჯარო ღონისძიებებით. სკოლის ვებ-გვერდის და

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძვლეზე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგები უშუალოდ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა გასული წლის (2024-2025 სასწ.წ) სამოქმედო გეგმის მონიტორიგის მასალები და ანალიზები. ასევე რეფლექსიები, რომელშიც აღნიშნულია, რომ კონკრეტულ მონაცემებს გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას (STEM საგნების გაძლიერება). ასევე წარმოდგენილია მიმდინარე 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, STEM კლუბის მასალები, სხვა დამატებითი მასალები, რომელიც ადასტურებს,რომ გასულ წელს მითითებული გასაუმჯობესებელი მიმართულების აქტივობებზე მუშაობა დაგეგმილია წლის განმავლობაში და აქტიურ ფაზაშია. ასევე სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგად გამოვლენილი ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, ინიცირება ხდება სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კათედრების სამოქმედო გეგმები;

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინსი ანალიზი (2024-2025 წლები);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას გააჩნია ყველა სავალდებულო სტრუქტურული ერთეული, რომლებიც რეალურად ფუნქციონირებენ და უზრუნველყოფენ სკოლის მართვის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლის

ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. შედეგად დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები, შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. ასევე 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლების ფუნქციებთანაც თავსებადია სამოქმედო გეგმით დაკისრებული პასუხისმგებლობები. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

შესაბამისად დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა თანამდებობრივი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ბრძანება № 2-67 (21.11.2025წ.);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- თვითმართველობის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა თანამდებობრივი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც

უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. აგრეთვე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმით და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმით“ გაწერილია შემდეგი ამოცანები: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამმხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა;

ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება. ასევე ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge ზე განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების დელეგირება სხვა დასაქმებულზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ადგენს სკოლაში სასწავლო სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე, იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის (კანონიერ წარმომადგენლის) მიერ.

აგრეთვე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა; ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; მატერიალური პასუხისმგებლობა;

განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი.

დასაქმებულთა სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და უკუკავშირის მიცემის სკოლაში არსებული პრაქტიკა ემსახურება პრევენციული და ინტერვენციული პრაქტიკის განხორციელებას, იმისათვის, რომ არ მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის შეფერხება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

..

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“ სადაც გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის/პერსონალის პირად საქმე თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 35 ერთეულს, აქედან 2-დამლაგებელი; 21 მასწავლებელი; 2-სპეც. მასწავლებელი; 1- მადგილე; 2-დარაჯი და 1-ექთანი. სკოლას აქვს მოქმედი „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“, რომელიც მოიცავს კადრების მოზიდვისა და შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში შერჩევა ხორციელდება როგორც შიდა, ასევე ღია კონკურსის გზით, რაც უზრუნველყოფს პოზიციასთან შესაბამისი კადრების მოზიდვასა და შერჩევას სამართლიან პირობებში. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და კომისიის ოქმები, ადასტურებს დადგენილი წესის პრაქტიკულ გამოყენებას. ინტერვიუების საფუძველზეც დადასტურდა, რომ შერჩევის პროცესი აღიქმება სამართლიანად და გამჭვირვალედ. საერთო ჯამში, სკოლაში მოქმედებს პერსონალის მართვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პროცესის გამჭვირვალე განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში დასაქმებულია ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ექთანი, რომელის კვალიფიკაცია სკოლას საშტატო ნუსხის სახით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია აქტივობების შემუშავება/დაგემვის პროცესში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. ასევე კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლის

პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“, ითვალისწინებს პერსონალის მოტივირებისა და წახალისების მექანიზმების არსებობას, რაც წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმია. აღნიშნული მექანიზმისა და სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს მოტივაციის გაზრდის მიზნით განსაზღვრული წახალისების ფორმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემია და სხვა. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ პერსონალის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი და ეფექტური მეთოდია შეფასებისა და წახალისების სამართლიანი და ობიექტური სისტემის შექმნა, რაც თავის მხრივ განაპირობებს პერსონალის სათანადო მოტივაციასა და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებში მათ უფრო აქტიურ ჩართვას. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს რამდენიმე პედაგოგმა განაცხადა, რომ სკოლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით გასულ სასწავლო წელს ქონდათ ფულადი პრემიის მიღების შესაძლებლობაც, ასვე თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დაფიქსირდა წახალისების სხვა პრეცედენტებიც, როგორიცაა მადლობის გამოცხადება და სიგელის გადაცემა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომლეთა ბაზა (eschool.esmis.ge-დან პორტირებული);
- ბრძანება № 2-67 „თანამშრომელთა თანამდებობრივი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“ (21.11.2025წ.);
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ რომ სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირების მექანიზმები, რომელიც ინტეგრირებულია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმში“.

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ მასწავლებლები იღებენ უკუკავშირს კოლეგებისგან საგნობრივი კათედრების ფარგლებში, რასაც თან ახლავს პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა (ტრენინგები, კოლეგიალური კონსულტაციები). მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება უმეტესად ხორციელდება დაკვირვებისა და პროფესიული ურთიერთობის გზით. ამასთან სკოლის მხრიდან საჭიროების გათვალისწინებით ხდება პროფესიული ზრდისათვის შესაბამისი ტრენინგებისა თუ ერთობლივი პროექტების ორგანიზება სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან/სკოლებთან თანამშრომლობით. შესაბამისად სკოლის პოლიტიკა განსაზღვრავს სისტემურ მიდგომას და უკვე დანერგილია შედეგებზე დაფუძნებული განვითარების დაგეგმვის პრაქტიკა. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ რომ სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ დირექცია როდესაც ახდენს იდენტიფიცირებას კონკრეტული პედაგოგის საჭიროების, მყისიერად აწვდის ინფორმაციას შესაბამისი ტრენინგ კურსის შესახებ და ეხმარება სარეგისტრაციო პროცესებში; ან/და სკოლის ბაზაზე ახდენს შესაბამის კონსულტირებას.

ამის გარდა როგორც ინტერვიუებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი მიმართავენ რიგ შიდა მექანიზმებს პროფესიული საჭიროებების გამოსავლენად, მათ შორის: ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ განხორციელებული დაკვირვება და უკუკავშირი; მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და თანაკოლეგური მხარდაჭერა; პედაგოგების მიერ პროფესიული განვითარების აქტივობების მიმართვა/ინიცირება; ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტები. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით პროცესები მეტწილად ეფუძნება პრაქტიკულ საჭიროებებს, ადმინისტრაციის დაკვირვებას და მასწავლებელთა ინიციატივას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ რომ სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. სკოლაში მოქმედებს პროფესიული ზრდის ხელშემწყობი მექანიზმები, მათ შორის კოლეგიური მხარდაჭერის, ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის სისტემა. პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და პროფესიული განვითარებისთვის ორგანიზებულ შეხვედრებში, რაც დადასტურდა როგორც თანამშრომელთა პირადი საქმეების დოკუმენტაციით, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით. სკოლაში არსებობს საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურა: ონლაინ/დისტანციური ტრენინგების გასავლელად და სასწავლო რესურსების შესაქმნელად მოწყობილია ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი სივრცე (კომპიუტერული ლაბორატორია), რომლის გამოყენებაც თანამშრომლებისთვის თავისუფლად არის შესაძლებელი. კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სკოლა მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ მექანიზმს როგორიცაა კათედრის წევრების ურთიერთშეფასება და ხარისხის მართვის ჯგუფის მხარდაჭერა. კარიერული ზრდის აქტივობების განხორციელება თანამშრომლებისთვის ნებაყოფლობითია. გასული წლების პრაქტიკით, სკოლაში უფროსი და წამყვანი მასწავლებლების სტატუსი მოიპოვა/აიმაღლა არაერთმა მასწავლებელმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ რომ სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მხარდაჭერა. ადაპტაციის პროცესი გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმში". ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია და კეთილგანწყობილი სამუშაო გარემო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალ პედაგოგთა სწრაფად ინტეგრაციას. კადრების ცვლის მაჩვენებელი დაბალია, რაც მიუთითებს სტაბილურ პროფესიულ გარემოზე და გუნდის მდგრადობაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კოლეგიალური მხარდაჭერა, გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება წარმოადგენს ყოველდღიურ პრაქტიკას, რაც ამცირებს ადაპტაციის სირთულეებს და ზრდის პროფესიულ კომფორტს. სკოლაში თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი რეალურად მოქმედებს და ეფუძნება თანამშრომლობის, მხარდაჭერის და გუნდურობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

მონიტორინგის დროს წარმოდგენილმა მონაცემებმა აჩვენა, რომ სკოლაში ამოქმედებულია წახალისების პრაქტიკა: სწავლა სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამშრომელთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს პროფესიული ზრდის კულტურის ფორმირებას. უზრუნველყოფილია შიდა პროფესიული განვითარების შეხვედრების ორგანიზება (გუნდური სამუშაო, კოლეგების დაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა); ახალი ინიციატივები მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მიერ; აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა აქტიურობას, ინიციატივის გამოვლენას და პროფესიულ მოტივაციას, რაც წარმოადგენს ეფექტური ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

მონიტორინგის პროცესში დაფიქსირდა, რომ სკოლას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის ჩამოყალიბებული სისტემა და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს უწყვეტ გაუმჯობესების ციკლს (დაგეგმვა – განხორციელება – შეფასება – რეკომენდაცია – ინტერვენცია – დაკვირვება შედეგებზე). ასევე დადასტურდა, რომ სკოლამ ჩამოაყალიბა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური, დოკუმენტურად გამყარებული და პრაქტიკაში განსახორციელებელი მექანიზმები. წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია და ეფუძნება პროცესულ მიდგომას. ასევე შემუშავებულია, „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმი“ და შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირების როლსა და პასუხისმგებლობებს. მონიტორინგის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა და დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლა გადასულია სისტემურ ხარისხის მართვაზე, რაც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და სრულყოფას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მონაწილეებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ავტორიზაციის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში იდენტიფიცირებული და აღწერილი იყო მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სხვადასხვა დოკუმენტში (ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში, შრომით ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში, ელექტრონული საქმისწარმოების წესში, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში). ასევე დაფიქსირდა ფუნქციური მმართველი სტრუქტურების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა) როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონიტორინგის ვიზიტისას დადასტურდა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ძალაშია და მმართველობითი და საგანმანათლებლო პროცესები პრაქტიკაში რეალურად ფუნქციონირებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა ასახული: მმართველობითი პროცესები (სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა); ძირითადი პროცესები (კურიკულუმის განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება და მართვა); დამხმარე პროცესები (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; ადამიანური რესურსების მართვა) დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია, ხოლო პრაქტიკაში მათი განხორციელება უზრუნველყოფს სკოლაში სწავლისა და მართვის უწყვეტობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განსაზღვრულია პროცედურები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სკოლაში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა ან საჩივრის წარდგენა. სისტემა მოიცავს საჩივრის მიღების, განხილვისა და მასზე რეაგირების კონკრეტულ ეტაპებს, ასევე ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი

პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, რითაც დგინდება მათი ინფორმირებულობა. ინტერვიებით კი დგინდება, რომ გასაჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმირებულია ასევე სკოლის პერსონალი. მონიტორინგის პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გასაჩივრების ფაქტები ამ დრომდე არ დაფიქსირებულა. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თანამშომელთა ხელშეკრულებები;

- სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები;
- განცხადების და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს. გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებები გათვალისწინებულია ფილოსოფიის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ვერსიაში. ასევე კოლეგიალურ სხდომებზე მუდმივად ხდება სხდომის წევრების უკუკავშირის მიღება და მასზე რეაგირების გზით საბოლოო დოკუმენტების დამტკიცება (სკოლის ბიუჯეტი, სამოქმედო გეგმა, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა...). სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის და მასზე რეაგირების მაგალითია ასევე სკოლის პერსონალის ანგარიშები, მაგ. ბიბლიოთეკამ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საკითხავი ლიტერატურის მიწოდების მოქნილი ელ. ვერსია შექმნა; სკოლამ ასევე გაატარა ხელისშემწყობი ღონისძიებები ინფორმაციული მენეჯერის ინიციატივებზე, კერძოდ-განაახლა ინვენტარი

საჭიროებისამებრ და მომზადდა და გამოეკრო სკოლის დერეფნებში შესაბამისი თემატიკის აგიტაციური პლაკატები თუ საინფორმაციო სტენდები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები და გამოკითხვის ანკეტები ადასტურებს, რომ მშობლები და მოსწავლეები მუდმივად ინფორმირებულნი არიან დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ. ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ გვერდს (faceebook - მშობლებთან და მოსწავლეებთან სპეციალური ფორმით შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დოკუმენტი), სადაც რეგულარულად ქვეყნდება განცხადებები, სიახლეები და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდების მრავალარხიანი სისტემა აძლევს სკოლას საშუალებას არა მხოლოდ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას, არამედ მიიღოს უკუკავშირიც. უკუკავშირის საფუძველზე სკოლა რეაგირებს შესაბამისად, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა(არსებობის შემთხვევაში), პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება. ხოლო რაც შეეხება პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს,

კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს და გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და პროექტებს. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი მასალები(ოქმები).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთამიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

- სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის აღმწერი დოკუმენტით. შენობაში გარეშე პირთა გადაადგილება კონტროლდება ნაკადის მარეგულირებელი პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს შესასვლელ კარს და აწარმოებს ვიზიტორთა მონაცემებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჟურნალს. სკოლას აქვს ეზო, რომელიც შემოღობილია. განსაზღვრულია მშობელთა დაშვების დღეები და საათები. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, თუმცა არ კონტროლდება სრულად გარე პერიმეტრი და შენობის დახურული კიბის უჯრედი. კამერების მონიტორინგი ხდება პასუხისმგებელი პირის მიერ სპეციალურ ოთახში, სადაც გარეშე პირთა შესვლა იკრძალება.
- სკოლას შემუშავებული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

- სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა, რომლითაც დგინდება შენობის მდგრადობა. აღნიშნული დასკვნით (სარდაფში ცალკეული ზონების დატბორვის მითითება), სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეხდინა შენობის სარდაფის სადრენაჟე სისტემის მოწყობა. ამასთან სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლის სარდაფში დაგროვილი წყალი სანიაღვრე სისტემის გაუმართაობით იყო გამოწვეული, რაც სკოლას ამ დროისთვის აღმოფხვრილი აქვს, რის შედეგადაც სკოლის წარმომადგენლების განმარტებით სარდაფი საგრძნობლად დაშრა. <u>სკოლას მიეცა რჩევა, (დღეის მდგომარეობით) გადამოწმდეს გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინების საჭიროება და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გათვალისწინება.</u>
- 2023 წ. 29 ივნისს №1858778 განცხადების საფუძველზე სკოლას ჩაუტარდა შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემოწმება და გაიცა შესაბამისი დასკვნა, რითაც სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა სრულად არ შეესაბამება მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. მითითებულ დოკუმენტში სკოლას არ აქვს განსაზღვრული ვადები აღნიშნული შეუსაბამობის გამოსასწორებლად. ამასთან სკოლას დაწყებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხვედლობის მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება, რაც დასტურდება შესაბამისი მიწერილობებით და ვიზუალური დათვალიერებით. თუმცა, ვინაიდან სკოლას არ აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომ სრულყოფაში მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემები დადგენილ ნორმებთან, მუდმივად ახორციელებს მიმართვებს შესაბამის უწყებებთან საჭირო ფინანსური რესურსის გამოსაყოფად.
- სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შესაბამისად <u>სკოლას მიეცა რჩევა დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u>
- სკოლის ტერიტორიაზე დგას მოძველებული მცირე ზომის შენობა, რომლის ექსპულატაციის უსაფრთხოება გაურკვეველია და არ არსებობს ბარიერი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შენობასთან მიახლოების. სკოლის განმარტებით აღნიშნულ შენობა გამოიყენება სათავსოდ. უსაფრთხოების პრევენციისათვის, <u>სკოლას მიეცა რჩევა აღნიშული შენობა ძირითადი ტერიტორიისგან გამოყოს ღობით .</u>

- აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში **ვერ ხდებოდა, სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით სრულად კონტროლი.** **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დგინდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ, სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით სრულად აღჭურვა, შესაბამისად ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისთვის ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით.

სამედიცინო სივრცე ფუნქციონირებს და სკოლის საზოგადოებას უწევს პირველად სამედიცინო მომსახურებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ექთანი, რომელიც სკოლას საშტატო ნუსხით შეთანხმებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორსთან. აქვე აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის შეთანხმებამდე სკოლამ წარმოადგინა კვალიფიციური ექიმის აყვანისათვის ჩატარებული რამდენიმე საკონკურსო მასა, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა ჩაიშალა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წერიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სერთიფიცირებული პირი. სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი. სკოლას აგრეთვე

შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის განრიგი, რომელიც რეგულარულად მონიტორინგდება. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის სისტემა, ასვე შემუშავებულია ძალადობის ნიშნების ამოცნობისა და რეფერირების პროცედურები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებას. სკოლა ასევე აქტიურად მონაწილეობს ბულინგისა და კიბერ-ბულინგის თმაზე ორგანიზებულ სხვადსხვა პროექტებში. ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ დამრიგებლები ეფექტურად ახორციელებდნენ პრევენციულ მუშაობას. ტარდება სადამრიგებლო საათები, რომლებიც მიმართულია ძალადობის პრევენციაზე და ბულინგის აღკვეთაზე. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური განათლების მასწავლებლი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმები, საჯაროდ გამოქვეყნებული აქტივობების მასალები, ანგარიშები და ინტერვიუს შედეგები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს მოსწავლეთა კეთილდღეობასა და ემოციური უსაფრთხოების გარანტირებაზე. მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობა, მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის არსებული მხარდაჭერის მექანიზმები უზრუნველყოფს უსაფრთხო, კეთილგანწყობილ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს შექმნას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების მხარდამჭერი სისტემის ფუნქციონირებას და ახორციელებს შესაბამის პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ საშტატო განრიგით განსაზღვრული 2-დამლაგებელი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის

დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად სკოლაში მონიტორინგის დროს, წარმოდგენილი იყო დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების აქტები, რომელიც მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კორდინატორი, სკოლის ექთანთან ერთად აწარმოებდა. სკოლის ტერიტორია მოვლილი და მოწესრიგებულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი". სკოლის მიერ განხორციელებული მონაცემთა დამუშავება უკავშირდება როგორც ელექტრონულ პლატფორმებს, ისე მატერიალურ მატარებლებს და წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სისტემის ნაწილს. დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ფორმები და პასუხისმგებლობის საკითხები. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი (ინფორმაციული მენეჯერი), რომლის კვალიფიკაციაც არ დასტურდება. ვიზიტისას გადამოწმდა ხელშეკრულებები, თანხმობის ფორმები და სხვა დოკუმენტაცია. პრაქტიკაშიც დადასტურდა, რომ სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას. როგორც დოკუმენტური, ისე პრაქტიკული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროცესი რეგულარულად იმართება და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტის მოთხოვნებს. <u>**ვინაიდან არ დასტურდება პერსონალურ მონაცებებზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაცია, სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი**</u>**. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი" დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას,

სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება კარადებში. მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება იზოლირებულად. სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინტერნეტს. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი", რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს. დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების ფორმები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს სკოლის სასკოლო საზოგადოების წევრთა — მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა — პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას. სკოლის საქმეთამმართველს აქვს წვდომა მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე , სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექნიზმები;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა და შემოწმების აქტი №154 (21.07.23 წ.);
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების თაობაზე.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ერთ მისამართზე მდებარე შენობაში (ს/კ 27.09.46.039). სკოლას აქვს საკუთარი ტერიტორია: დაზუსტებული ფართობია 13824.00 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით N1, N2, N3, (მესაკუთრე-სახელმწიფო). სკოლა გათვლილია 300 მოსწავლეზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 129 მოსწავლე.

სკოლის ძირითადი კორპუსი - ორსართულიანია. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი, სკოლის ძირითადი კორპუსის შენობა (საკლასო ოთახები, რესურს ოთახი, დერეფნები, ბიბლიოთეკა), სკოლის ეზო ქმნის სწავლებისათვის ხელსაყრელ გარემოს. სკოლას არ გააჩნია შიდა სპორტული დარბაზი გასახდელებით, რომლის მშენებლობაც დირექტორის განცხადებით იგეგმება სკოლის ეზოს ტერიტორიაზე. სკოლას ასევე არ გააჩნია სათანადოდ კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი, თუმცა სპორტული ინვენტარის ნაწილი, რომელიც საჭიროა სპორტის საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის (მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკი), განთავსებულია სკოლის სადერეფანო სივრცეებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

სკოლას აქვს იზოლირებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა სკოლის კორპუსის გარეთ მიმდებარე პერიმეტრზე, სადაც მოწყობილია სველი წერტილები ბიჭებისათვის/გოგონებისთვის, მათ შორის 1 ადაპტირებული შშმ პირებისთვის და მასწავლებლებისთვის. ნაგებობა რეაბილიტაციას საჭიროებს, რისთვისაც სკოლამ მოიპოვა დაფინანსება და მიმდინარე წელს ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ჩატარდება შესაბამისი რეკონსტრუქტურული სამუშაოები. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია გათბობისთვის (საქვაბე) და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სათადიგო სისტემის ნაგებობები .

სკოლა ფლობს ჯამში 378 მერხს, სასკოლო დაფებსა და სხვა აუცილებელ მატერიალურ რესურსს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მერხებით, სასკოლო დაფებითა და აუცილებელი მატერიალური ინვენტარით. სკოლის ბალანსზე ირიცხება 12 პერსონალური კომპიუტერი. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უზურნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე მდგომ სველ წერტილებში ცენტრალური გათბობა გაყვანილი არაა. სკოლის შენობის დათვალიერებისას დადასტურდა,

რომ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის ყველა პირობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ოთახი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონიტორინგისთვის. მეორე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც მცირედაა აღჭურვილი და გადანაწიებული რამდენიმე კაბინეტში, კომპიუტერული ლაბორატორია, კანცელარია, ბუღალტერია და მცირე სააქტო დარბაზი. სკოლა ადაპტირებულია ნაწილობრივ, პანდუსი მოწყობილია სკოლის ცენტრალურ შესავლელ ნაწლში.

სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და თანამშრომლების მიერ რესურსების გამოყენების პირობები და პროცედურები. მონიტორინგის შედეგად: დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში და უზრუნველყოფს სკოლის საჭიროებებს. ბიბლიოთეკის მუშაობის წესები, პასუხისმგებელი პირი, სამუშაო გრაფიკი და ხელმისაწვდომობა უცვლელად ინარჩუნებს სტანდარტთან შესაბამისობას. სკოლაში ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე, გამოიყენება როგორც სწავლების, ისე რესურსების შექმნისა და ინფორმაციული მუშაობისთვის.

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტული ინვენტარის ნაწილი, რომელიც საჭიროა სპორტის საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის (მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკი), განთავსებულია სკოლის სადერეფანო სივრცეებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დირექტორის განცხადებით იგეგმება ეზოს ნაწილში სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზის მშენებლობა. სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი, რომელიც არ არის ბოლომდე კეთილმოწყობილი, თუმცა, სკოლის განცხადებით და ვიზუალური დათვალიერებით (პროცესებზე დაკვირვებით) ირკვევა, რომ სკოლის ეზოს ამ ნაწილის გამოყენება შესაძლებელია სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო წიგნადი ფონდით. დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკაში, რაც ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მის ხელმისაწვდომობას. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ ისინი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა სამუშაო გეგმა და შესრულებული საქმიანობის ანგარიში. ბიბლიოთეკარის მიერ წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა თემატური აქტივობები მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობის შესასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირთათვის. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, დაწყებითი საფეხურის კლასები და სამედიცინო კაბინეტი.

რაც შეეხება მეორე სართულზე განთავსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებს (ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია..) არაა ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ვინაიდან შენობას სართულებზე გადასაადგილებლად არ აქვს პანდუსი ან ლიფტით, საკითხის მოგვარების მიზნით სკოლამ ორჯერ მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარების სააგენტოს ლანჩუთის მუნიციპალიტეტს და ელოდება შესაბამისს დახმარებას. **რადგან მეორე სართული მონიტორინგის პროცესში არ იყო ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირთათვის, <u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა</u> 3.5.1.4 <u>ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 29.12.2025წ.-</u>**

29.12.2027წ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სრულად ადაპტირება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (29.12.2027.- მდე). ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის სასწავლო კორპუსში მოწყობილია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია , მცირე ზომის სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა განახორციელოს შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტული ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა ინიციატივითა და სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. ასეთ აქტივობებსა და შეხვედრებს ატარებენ მცირე სააქტო დარბაზში, ბიბლიოთეკაში და სკოლის დერეფნებში გამოყოფილ სპეციალურ სივრცეებში. ამ ღონისძიებების წარმართვისათვის დიდ როლს ასრულებს სკოლის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია ;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- მიღება-ჩაბარების აქტები ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;
- ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია.შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკის ექსპულატაციის პირობებს ადგენს დირექტორის მიერ ბრძანება N 2-4-ით დამტკიცებული მატერიელურ რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპი), პროექტორი, პრინტერი. სკოლის კომპიუტერულ

ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. ინტერნეტით დაფარულია სკოლის სრული ტერიტორია, თუმცა ინტერნეტის სიჩქარის დაბალი დონიდან გამომდინარე სკოლის იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ სამუშაო სივრცეებში და კლასებში შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს ელექტრონული საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, დოკუმენტბრუნვის ორგანიზების წესებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას. დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებითა და სამუშაო აღწერილობით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში შემოსულ გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტასა და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება,, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა კომუნიკაციას ამყარებს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას. სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ამყარებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს 09.12.2025 წლის ოქმი №11 ით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ელექტრონული საქმისწარმოების წესი;
- Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებად აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელის - Facebook-ის გვერდს, ელექტრონულ ფოსტას: **Chibati@mes.gov.ge**; ელექტრონულ ჟურნალს, Teams-ისა და Zoom-ის პლატფორმას. მშობლების სწრაფი ინფორმირებისათვის - სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს. სკოლას სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება, ინფორმაციის დაცვის მიზნით, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: **Chibati@mes.gov.ge**; სკოლის კანცელარია, ელექტრონული ჟურნალი, ჩატი სოციალურ ქსელში. სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე სკოლა იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა (სასწავლო პროცესის, ბიბლიოთეკის მუშაობის, საჭიროების), მშობელთა და პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის საჭროების კითხვარები. გასაუბრებაზე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კვლევის შედეგების გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში და იგეგმება შესაბამისი ინტერვენციები. სკოლა სამომავლოდაც გეგმავს წავლა/სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად მეტი კვლევის ჩატარებას და შეფასებების განხორციელებას, ასევე გეგმავს მოსწავლეთა ინიციატივების უკეთ წარმოსაჩენად, მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის ელექტრონულ სივრცეში შექმნას სპეციალური გამოკითხვის ჯგუფი მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებად აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელის - Facebook-ის გვერდს, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ, ხოლო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე (https://skolebi.emis.ge) გამოყოფილ შესაბამისი სივრცეში, სკოლას განთავსებული აქვს სკოლის ფილოსოფია (სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები), სტრუქტურა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, მარეგულირებელი დოკუმენტები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დირექტორის ანგარიშიდან და სკოლის ბიუჯეტიდან დგინდება, რომ სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზრაურებაზე (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, დანამატები და ა.შ.), სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვეტარის, რესურსების შეძენაზე და კომუნალურ გადასახადებზე, მცირეოდენი თანხა გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე (საკანცელარიო, საწერი ქაღალდის, ცარცის, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა), ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლაში იქმნება შემდეგი ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში წარმოშობილი სხვადასხვა მიზეზით იცვლება და მტკიცდება სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ. არსებული ფინანსური რესურსი ქმნის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეევეო საბჭოს მიერ 09.12.2025წლის ოქმი №11 ით დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს გასული წლის გამოცდილებასა და საპროგნოზო ბიუჯეტს. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს 09.12.2025წლის ოქმი №11 ით, რომლითაც სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 09.12.2025წლის ოქმი №11;
- სკოლის ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ:

- სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შემდეგ ქმედებებს, პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესსა და წახალისების ფორმებს;
- მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები;
- სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს;
- სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა კონტროლის მექანიზმები, სადაც განსაზღვრავს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხის მონიტორინგის წესებს;

- სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი,რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლეთა უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას;
- მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანია, ზოგადი განათლების მიღების მიზნით, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში, მოსწავლის ინტერესების დაცვისა და სასკოლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლი ეხება მხარეების უფლებებისა და მოვალეობების დეტალურ აღწერას,რომელიც დადასტურებულია ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლების სამუშაო მასალაში, სადამრიგებლო პროგრამებსა და გეგმებში ჩანს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში.დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. კლასის საათებისა და მშობელთა კრების ფარგლებში კი სხვა მიმდინარე საორგანიზაციო თუ თემატური საკითხებთან ერთად დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს სკოლის შინაგანაწესს და ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის“ ასევე ,,ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას“ . აღნიშნული დეტალების დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თითოეული მოსწავლე და მშობელი ინფორმირებულია უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

სკოლას აქვს ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც ატვირთულია სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არის მარტივად აღსაქმელი, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გამოქვეყნებულია სააჯაროდ და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, შეწყვეტის წესის, შინაგანაწესის გაცნობისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- ბრძანება N 2-46 სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცების შესახებ;

- ბრძანება N 2-45 სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-57 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-57 სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის და პირის პერსონალური მონაცემების წესების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-11 ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის შინდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ;
- ბრძანება N 2-12 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N 2-42 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-62 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-52 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-67 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" (N04/ნ (11/01/2017) შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის წესი,რომელიც არეგულირებს სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმისმწარმოებელმა წარადგინა მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და კლასიდან კლასში გადაყვანის მაგალითები. მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების წესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით და საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და ინდივიდუალურად მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლიათ თითოეული საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალური შეხვედრის მოთხოვნა და გასაუბრება.

სკოლაში აქტიურად მიმდინარებს საკლუბო მუშაობა. ფუნქციონირებს ეკოკლუბი, STEM კლუბი, რომელსაც ხემძღვანელობს ფიზიკის მასწავლებელი. ვიზიტისას ადგილზე გავეცანით კლუბის წესდებასა და პროგრამას. კლუბის განაცხადი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას გამჭირვალედ და ხელმისაწვდომად. გასაუბრებებზე მოსწავლეები განსაკუთრებით ინტერესით საუბრობენ STEM კლუბის აქტივობების შესახებ. ასევე სკოლაში აქტიურად მუშაობს კლუბი ისტორიის მიმართლებით. ვიზიტისას დათვალიერდა ხელოვნებისა და ისტორიის პედაგოგების ერთობლივად განხორციელებული პროექტების მასალები.

გაზიარების მექანიზმად სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენეს შეუძლია მოსწავლეთა შეფასებების ნახვა ნებისმიერ დროს. ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია

ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი.

გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს,რომ ყველა კლასს სოციალურ ქსელში (მესენჯერი) აქვს საკონტაქტო ჯგუფი, სადაც სწრაფად ხდება ინფორმაციის გაზიარება .

აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების, სკოლის სოციალური ქსელისა და ვებ-გვერდის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის უტყუარი, სანდრო, განახლებული, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-50 სსიპ - ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- დამრიგებლის დებულება/სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;

- ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი/სოციალური ქსელი;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს მექანიზმი ვრცელდება პირველკლასელებზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებსა და იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ენობრივი ბარიერი ან სხვა მიზეზით გამოწვეული ადაპტაციის პრობლემები აქვთ.

ვიზიტისას შესწავლილ იქნა პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რომლის სამუშაო საკითხები გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლისთვის: პირველკლასლების მიღების პროცესის დაგეგმვა, მომავალი პირველკლასელთა მოსწავლეების, ჩიბათის საბავშვო ბაღიდან სკოლაში ადაპტაციისთვის მოსამზადებელი აქტივობების დაგეგმვა და სხვა. ასვე ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი"-ის მიხედვით მუხლი N8 ითვალისწინებს პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესს:

1.სკოლის ტერიტორიის დათვალიერება;
2.მასწავლებელთა და თანამშრომელთა გაცნობა;
3. საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის, საპირფარეშოების მონახულება;
4.ინტერაქტიული აქტივობები ბავშვებისთვის;
5.მშობლებთან მოკლე საინფორმაციო შეხვედრა

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვიზიტზე ადმინისტრაციასთან შეხვედრისას, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ პერიოდულად მისი ინიციატივით ხდება თემის და მახლობელი სოფლების საბავშვო ბაღებსა თუ ოჯახებიდან ინფორმაციის მოკვლევა სსსმ ბავშვების შესახებ, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა გახდნენ მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული ინფორმაცია, მისი თქმით ხელს შეუწყობს, რომ დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე, რომ გაითვალისწინოს კონკრეტული საჭიროებები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს ქმედებებს,რომლებიც მიმართულია მოსწავლეების ურთიერთგაცნობასა და დაახლოებაზე. მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა იწყება სწავლის დაწყებამდე და მოიცავს როგორც აკადემიურ,ისე სოციალურ ასპექტებს. სწავლის პირველ დღეს ეწყობა საზეიმო ღონისძება სკოლის ეზოში სახალისო აქტივობებით. დამრიგებლის დებულების მიხედვით, დამრიგებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყაროს კომუნიკაცია ახალ გადმოსულ

მოსწავლესთან. ხოლო დამრიგებლის მიერ პირველივე სადამრიგებლო საათი ეთმობა თანაკლასელების გაცნობა-დაახლოებას. სკოლას გააჩნია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის კლასები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, მერხები განლაგებულია მოსწავლეთა ასაკის და სიმაღლის შესაბამისად. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ავეჯის გადაადგილება საჭიროების შესაბამისად. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი საჭირო რესურსებით და ავეჯით, სადაც სსსმ მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სკოლას ყავს 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მათგან ერთი შეზღუდული შესაძლებლობის. მათთან მუშაობს ერთი სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. ისინი საჭირო მომსახურებას უწევენ სსსმ მოსწავლეებს და საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე.

ვიზიტისას მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ზემოთ აღწერილი მექანიზმი პრაქტიკაშიც წარმატებით ხორციელდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მხარდაჭერის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება,რომელშიც გაწერილია:

- რემედიაციის პროგრამის ეტაპები;
- რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება:
- პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- სამუშაო ფორმატის შემუშავება (გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით):

- სარემედიაციო სივრცის მოწყობა (თუ რემდიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით);
- სასწავლო რესურსებისა და აქტივობების შერჩევა-მომზადება:
- მეცადინეობების ჩატარება (თუ რემდიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით) , აქტივობების განხორციელება;
- რემედიაციის პროცესის დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი;
- რემედიაციის პროცესის შესახებ ანგარიშის მომზადება.

დებულება უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე, რომლისთვისაც ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაძლევა რთულია, იღებს საჭიროებებზე ორიენტირებულ ინტერვენციებს. რემედიაცია იწყება საგნის მასწავლებლის მიერ სანდო მონაცემებზე (დიაგნოსტირება, ანალიზი) დაფუძნებული ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს საგაკვეთილო პროცესთან ინტეგრირებით ან დამატებითი გაკვეთილის სახით. რემედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ხორციელდება პირველადი, შუალედური და ფინალური დიაგნოსტირება, ანალიზი და პროგრესის მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება მოსწავლის ამჟამინდელი აკადემიური დონე და პროგრესის ხარისხი. მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ხშირად ეხმარებიან მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ კონკრეტული საკითხის გააზრება ან დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ.

ვიზიტისას გავეცანით რემედიაციის პროგრამებს (მათემატიკა და ქართული), რომელშიც ფიქსირდება დებულებით გაწერილი პროცედურები. ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სემესტრის ბოლოს ისინი წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს რემედიაციის განხორციელებისა და შედეგების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ეძლევათ დროული მხარდაჭერა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მაგ., ექსტერნატი, სატატუსის აღდგენა ან შეწყვეტა, მობილობა, შინსწავლება. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და ახორციელებს დროულ კომუნიკაციას, მათ შორის დოკუმენტების გაგზავნას მიმღებ სკოლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალს. შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა წახალისების ფორმებს (მადლობა, სიგელი, ფასიანი საჩუქარი) ეროვნულ/საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატების ან განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის.

თვითმმართველობის დებულების თანახმად თვითმმართველობის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეთა იდეების განხორციელება, არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის სასკოლო კლუბების შექმნა.ადგილზე ვიზიტისას თვითმმართველობის დოკუმენტაციის დათვალიერებისას სამუშაო შეხვედრის ოქმში დასტურდება მოსწავლეთა ინიციატივა კლუბების შექმნის შესახებ.

1)ისტორიის კლუბი - ,,ვენი, ვიდი, ვიცი“

2)დებატების კლუბი - ,,ლოგოსი“

3) მათემატიკის კლუბი - ,,პითაგორა“

4) STEM კლუბი - ,,ინოვატორები“

5)ბიოლოგია - ,,სიცოცხლე“

აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ კონკრეტული იდეის ან ინიციატივის არსებობის შემთხვევაში ისინი მიმართავენ პედაგოგს, დამრიგებელს, ადმინისტრაციის წევრს, რომლებიც დიდი სიმოვნებით მხარს უჭერენ და სამუშაო პროცესშიც ერთად გუნდირად ერთვებიან. თივთმმართველობის წევრების თქმით, განსაკუთრებით უხარიათ, როცა ადმინისტრაცია ეხმარება მათ თემთან, მეზობელ სკოლებთან კავშირების დამყარებაში, ასე მაგალითად აწყობენ ერთობლივ სპორტულ შეჯიბრებებს და ესტაფეტებს, რაც ბავშვების თქმით კიდევ უფრო აყვარებს მათ სკოლას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე სკოლა იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა კითხვარების შაბლონები და ასევე შევსებული კითხვარები და მათზე დაყრდნობით გაკეთბული swot ანალიზი. გასაუბრებაზე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კვლევის შედეგების გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში და იგეგმება შესაბამისი ინტერვენციები. სკოლა სამომავლოდაც გეგმავს წავლა/სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად მეტი კვლევის ჩატარებას და შეფასებების განხორციელებას, ასევე გეგმავს მოსწავლეთა ინიციატივების უკეთ წარმოსაჩენად, მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის ელექტრონულ სივრცეში შექმნას სპეციალური გამოკითხვის ჯგუფი მოსწავლეთათვის. რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლეებთან მიწოდებული მომსახურებების განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის. <u>**სკოლას მიეცა რჩევა კვლევის ობიექტურობისა და რელევანტურობის გაზრდის მიზნით გამოიყენოს კვლევის/კითხვარების ელექტორნულად შეგროვების მეთოდი, რაც გაამარტივებს საბოლოო მონაცემების იდეტიფიცირებას.**</u>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-45 სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- პირველკლასელთა ადაპტაციის პროცესის ოქმი N1 (28.05. 2025 წ.);
- ბრძანება N 2-4სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის რემედიაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი N1 17.10.2025 წელი;
- არაფორმალური პროექტების გეგმები : (,,მედიაწიგნიერება“, ,, იგავების სამყაროში“ , ,, მეგობრობა და თანამშრომლობა“ , ,, სპორტი და ტექნოლოგიები“ ,, მავნე ჩვევები“ , ,, ეკო პროექტი“);
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- კითხვარები : (მშობლის კითხვარი, პროექტის შეფასების კითხვარი, მასწავლებლის თვითშეფასება)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელშეწყობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, რომლის მიხედვითაც გაწერილია მოსწავლეებისათვის კარიერული დაგეგმვის სერვისი: **(კარიერული დაგეგმვის კონსუტლაცია,** რაც გულისხმობს მოსწავლეთა პიროვნული თვისებების, ინტერესების თუ სხვა ასპექტების განსაზღვრას და **ფსიქოლოგიური კონსულტაცია** - ემოციური მხარდაჭერა მნიშნველოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, რჩევის მიცემა, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტოლების მიღების უნარის განვითარება). ამავე დოკუმენტით გაწერილია სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია-მოვალეობები:

1. უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის პროგრამის სამივე კომპონენტის (სასწავლო სესია, ექსკურისია, შეხვედრები სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებთან, სკოლის კურსდამთავრებულებთან) განხორციელებას სკოლაში;
2. უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის სასწავლო სესიებს დამხმარე მასალით (ტექსტის ამობეჭდვა, საბეჭდი ფურცლები, მარკერები, პროექტორი – არსებობის შემთხვევაში და სხვა);

სკოლა ასევე უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ექსკურსიებს. უშუალოდ აქტივობებს ხელმძღვანელობენ ძირითადად უფროსკლასლეთა (9-12 კლასების) დამრიგებლები. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, შესაბამისად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს პროფორიენტაციის მიმართულებითაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრის პრეცედენტიც, პერიოდულად ხდება მოწვევა სოფელში მცხოვრებ სხვადასხვა პროფესიის ადამიანების, რომლებიც განიხილავენ საინტერესო პროფესიებს.
ვიზიტისას ასევე დათვალიერდა მე-10 კლასის სადამრიგებლო პროგრამა, სადაც კარიერის დაგეგმვის მიმართულებით არაერთი აქტივობაა გაწერილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ორგანიზებულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე სკოლას რეგულარულად მოდის სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე/ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით.

ასევე მოსწავლეებმა ისაუბრეს გასულ წელს სკოლის კურსდამთავრებულთა სკოლაში ვიზიტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სკოლაში გაიმართა STEM მიმართულების სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა (ყოფილი თანასკოლელების) შეხვედრა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, შეხვედრა იყო სახალისო აქტივობებითა და ქვიზებით დატვირთული. ბავშვებმა აღნიშნეს ,რომ უფროსმა მეგობრებმა მათ პროფესიასთან დაკავშირებული სამახსოვრო სიმბოლური საუქრებიც კი გადასცეს, რაც მათთვის ძალიან დიდი მოტივაცია იყო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა პრაქტიკაში აქტიურად იყენებს თვითშეფასების, მონიტორიგნისა თუ კვლევების სხვადასხვა მეთოდებს. ვიზიტისას დავათვალიერეთ კათედრებზე განხორციელებული კვლევების მასალები, ანგარიშები და ოქმები. მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ სკოლამ გაითვალისწინა გასული წლის SWOT ანალიზით განსაზღვრული საკითხების გაუმჯობესების აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-48 სსიპ ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ;
- პროექტები კარიერული დაგეგმვის მიმართულებით;
- სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის ამსახველი მასალები;
- მე-10 კლასის კლასსაათის გეგმა .(თემა პროფესიური ორინტაცია და კარიერული დაგაგემვა).

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილი სსსმ და შშმ პირის ტრანზიციის დანერგვის მექანიზმები.

სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლისათვის მისაწვდომი- სკოლის შენობაში შესასვლელი – პანდუსი, რომელიც ადაპტირებულს ხდის მხოლოდ პირველ სართულს. სკოლის შენობის გარეთ განთავსებულია არადაპტირებული ს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ისგ ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს სსსმ მოსწავლეებისათვის. აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილება წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმა, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად იგეგმება საქმიანობა. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, მოსწავლის ასისტენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-48 ზაზა სულაბერიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლის ზოგადი გაანთლების უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება;
- ინდ. გეგმები;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ სთავაზობს გარდა ტრანსოპრტირებისა, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელიც 2 კილომეტრით არის დაშორებული ემსახურება შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით უზრუნველყოფილი ტრანსპორტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ტრანსპორტის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, სკოლა აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას აღნიშნული მომსახურებების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მათ შორის, მოსწავლეთა ტრანსპორტირების დროს სკოლას ევალება მოსწავლეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებაზე მონიტორინგის წარმოება.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლუბების დებულებები;
- 2024-2025 სასწავლო წლის აქტივობების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი 12.01.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: